საქართველოს მთავრობის

დადგენილება №643

2021 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივლისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივლისის №337 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/07/2019, 130000000.10.003.021355) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების“ (დანართი №1):

ა) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტი.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის მიზნით, განიხილავს და აანალიზებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას; შეისწავლის ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან, სეპარატიზმთან ბრძოლის, სახელმწიფო საზღვრის მართვის, მართლწესრიგის, ოკუპირებულ ტერიტორიებთან, ასევე ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს, ახდენს ზემოაღნიშნულ სფეროებში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ანალიზს;“;

გ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტი:

ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს საბჭოს მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საინფორმაციო-ანალიტიკურ უზრუნველყოფას ინფორმაციული უსაფრთხოების/ კიბერუსაფრთხოების საკითხებზე;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციას;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის მონიტორინგსა და სტრატეგიის შესრულების შედეგების შეფასების ყოველწლიური ანგარიშის შედგენას. ანგარიში წარედგინება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და საქართველოს მთავრობას;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ კიბერინციდენტზე ერთიან, კოორდინირებულ რეაგირებასა და ამგვარი კიბერინციდენტით გამოწვეული კრიზისული ვითარების პოლიტიკურ დონეზე მართვის მიზნით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მოსამზადებლად, საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას;

ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სექტორულ უწყებასთან შეთანხმებით, საბჭოს მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადრეული ინფორმირების მიზნით, უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს კიბერინციდენტის მართვაში, რომელიც შესაძლოა, გადაიზარდოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობისთვის, ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველ ფართომასშტაბიან კიბერშეტევაში;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საბჭოს მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადრეული ინფორმირების მიზნით, შესაბამისი სექტორული უწყებებიდან გამოითხოვს ინფორმაციას, როგორც ცალკეულ კიბერინციდენტებზე, მოვლენებსა თუ აქტორებზე, ისე ამ მიმართულებით არსებულ განზოგადებულ ვითარებაზე;

ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს წინადადებებისა და რეკომენდაციების საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარსადგენად მომზადებას კიბერინციდენტებით გამოწვეული საფრთხეების პრევენციისა და მათზე რეაგირების კუთხით;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კიბერინციდენტების შედეგად მიყენებული ზიანის შემცირებისა და კიბერსივრცეში ქვეყნის მედეგობის უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების კოორდინაციას;

ი) ახორციელებს საბჭოს აპარატის ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას, რომელთაც ითვალისწინებს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

კ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სამართალდამცავი/უსაფრთხოების უწყებების ტექნიკური საჭიროებებით მხარდაჭერას;

ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კიბერ/ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას, რა მიზნითაც თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ აკადემიურ დაწესებულებებთან;

მ) ასრულებს საბჭოს მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ცალკეულ დავალებებს.“;

დ) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს აპარატის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს ყოველთვიურად ეძლევა ფულად სარგოზე (ხელფასზე) დანამატი სამხედრო წოდებით ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით (წელთა ნამსახურობის დანამატი), შემდეგი პროცენტული ოდენობით:

ა) 1 წლიდან 2 წლამდე ნამსახურობისთვის – 5 პროცენტი;

ბ) 2 წლიდან 5 წლამდე ნამსახურობისთვის – 10 პროცენტი;

გ) 5 წლიდან 10 წლამდე ნამსახურობისთვის – 15 პროცენტი;

დ) 10 წლის ან მეტი ნამსახურობისთვის – 20 პროცენტი.“.

2. „ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები და მე-2 პუნქტი

ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**